

შპს „ფრეგო“-სავტოგასამართ სადგურებზე ავტობუსების, მიკროავტობუსების და სატვირთო ავტომობილის მძღოლებისთვის DS CARD დაგროვების ბარათის გაცემის წესი N 06/06-17

პირველი გვერდი

მეორე გვერდი



DS CARD დანიშნულება:

DS CARD განკუთვნილია მომხმარებლის მიერ მხოლოდ დიზელ სტანდარტის ტიპის საწვავის შესყიდვის შემთხვევაში.

DS CARD მომხმარებელი:

DS CARD - დაგროვების ბარათი გაცემა მხოლოდ ავტობუსების, მიკროავტობუსების და სატვირთო ავტომობილის მძღოლებისთვის.

DS CARD გაცემის ადგილი:

DS CARD - დაგროვების ბარათი გაცემა უშუალოდ აგს-ზე, ავტობუსების, მიკროავტობუსების და სატვირთო ავტომობილის მძღოლების მიერ პირადობის მოწმობის წარდგენის საფუძველზე.

DS CARD თანხის დაგროვების პრინციპი:

- ბონუსი არის ფიქსირებული და შეადგენს 2 თეთრს ერთ ლიტრ დიზელ სტანდარტის შეძენის შემთხვევაში.
- მიმდინარე თვის განმავლობაში დიზელ სტანდარტის საწვავის შეძენისას მომხმარებელს DS CARD -ზე უგროვდება გარკვეული თანხა, რომელიც ყოველი თვის ბოლოს საწვავის (დიზელ სტანდარტი) შესაბამისი რაოდენობის სახით დაერიცხება ბარათზე, დარიცხვის დღისთვის აგს-ზე არსებული ფასის მიხედვით.

DS CARD-ით სარგებლობა:

DS CARD -ზე დარიცხული საწვავის რაოდენობის გამოყენების ვადა შეზღუდული არ არის.

DS CARD-გაცემის პროცედურა აგს-ს ოპერატორებისთვის:

- აგს-ს ოპერატორებმა უნდა შეავსონ ხელშეკრულება „შპს ფრეგო-ს დაგროვებითი ბარათის DS CARD-ით სარგებლობის შესახებ“.
- დაარეგისტრირონ პროგრამაში ბარათი DS CARD შპს „ფრეგო“-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების მიერ დადგენული ინსტრუქციის შესაბამისად (წინამდებარე წესი N ___ -ს დანართი N1-ს მიხედვით)

DS CARD-ის აღდგენის პროცედურა აგს-ს ოპერატორებისთვის:

- შეავსონ ხელშეკრულება „შპს ფრეგო-ს დაგროვებითი ბარათის DS CARD-ით სარგებლობის შესახებ“ ბარათის აღდგენის მითითებით;
- „შპს ფრეგო-ს დაგროვებითი ბარათის DS CARD-ით სარგებლობის შესახებ“ აღდგენის ხელშეკრულება გადასცენ აგს-ს მენეჯერს;
- აგს- მენეჯერი უნდა დაუკავშირდეს შპს „ფრეგო“-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) მენეჯერს;

შენიშვნა: DS CARD-ის აღდგენის შემთხვევაში მომხმარებელს შეუწარმუნდება ბარათზე არსებული ბალანსი.

DS CARD-ს კონტროლი აგს-ზე:

მენეჯერებმა დაგროვების პროგრამაში რეპორტების ფორმიდან უნდა აკონტროლონ DS CARD -ზე დარიცხული ქულები და განადღებულ საწვავის რაოდენობა.

DS CARD-ს გაუქმება: თუ 3 თვის განმავლობაში DS CARD -ზე არ აისახება ბრუნვა (არ მოხდება მომხმარებლის მიერ დაგროვებითი ბარათის გამოყენება), კომპანიას ეძლევა უფლება ცალმხრივად გააუქმოს ბარათზე არსებული ნაშთი და ასევე გააუქმოს თავად ბარათი.

გენერალური დირექტორი რუსუდან რამაზაშვილი	დამტკიცებულია  15.06.18 (თარიღი)
---	--